საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1576

ქ. თბილისი "24" "10" 2007წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის (კმ80-კმ95) მონაკვეთის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის № 154 დაგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცმის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №39; 23.10.07 „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის (კმ80-კმ95) მონაკვეთის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული სახელმწიფი ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი.

დავით ჩანტლაძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, საქართველოს ეკონომიკური